
	<p>საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი</p>	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	0
		გვერდი	1/10
		ცვლილება	0

„დამტკიცებულია“
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

_____ ს. ტეფნაძე
_____ 2018
ბრძანება _____


საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი

ძირითადი ასლი

	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/10
		ცვლილება	0

1 სარჩევი

1	სარჩევი.....	2
i.	ცვლილებები.....	3
ii.	ცვლილებების ისტორია.....	4
iii.	მოქმედი გვერდების სია	5
2	დოკუმენტაციის კონტროლი.....	6
2.1	დოკუმენტების დასაგზავნი სია.....	6
3	ძირითადი ნაწილი	7
	მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	7
	მუხლი 2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია	7
	მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომი და თემის ხელმძღვანელი	8
	მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები.....	8
	მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომი და თემის ხელმძღვანელი.....	9
	მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები.....	9


	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/10
		ცვლილება	0

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი


	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	ნოემბერი 2016
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/10
		ცვლილება	0

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საინჟინრო ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	7/10
		ცვლილება	0


3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) აწესრიგებს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და პროცედურულ საკითხებს.
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება სტუდენტს შეუძლია დამამთავრებელ სემესტრში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები დადგენილია შესაბამისი სილაბუსებით.
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასების საშუალებით. შუალედური შეფასება არის განმავითარებელი შეფასება (ტარდება ორჯერ), რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ დაგეგმილი კვლევის პირველად შეფასებას, სწორი მიმართულების მიცემას და ე.წ. Feedback-ს თემის ხელმძღვანელის მხრიდან. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შემთხვევაში თემის ხელმძღვანელი ყოველკვირეულად ინდივიდუალურად ხვდება სტუდენტებს მათი საჭიროების გათვალისწინებით და განიხილავს თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს. ამასთან, თემის ხელმძღვანელი კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.
- ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შეფასებების მიზანია ე.წ. მუდმივი მონიტორინგის განხორციელება სტუდენტის საქმიანობაზე, დროული რეკომენდაციების და მითითებების მიცემა, რაც საბოლოო ჯამში ორიენტირებული იქნება დახვეწილი ნაშრომის შექმნაზე. ასეთი სახის შეფასების სისტემის დამკვიდრებით შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ცდილობს შექმნას ეფექტიანი მექანიზმი განათლების ხარისხის განსავითარებლად და ხელი შეუწყოს სტუდენტთა მომავალ სამეცნიერო საქმიანობას.

მუხლი 2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია

- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია (შესაძლებელია იყოს ერთად ან ცალ-ცალკე) იქმნება რექტორის მიერ ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ნაშრომის ხელმძღვანელი (სათათბირო ხმის უფლებით), ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და შესაბამისი დარგის არანაკლებ 2 სპეციალისტი. რექტორის გადაწყვეტილებით სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ პოტენციური დამსაქმებლები, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 3 წევრი მაინც. ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:
 - ხუთი სახის დადებით შეფასება:
 - ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/10
		ცვლილება	0

2.2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.


- რომელიც არის კომისიის თითოეული წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკული. სათათბირო ხმის უფლების მქონე წევრები შეფასების პროცედურაში არ იღებენ მონაწილეობას.
- კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელიც წარედგინება შესაბამის ფაკულტეტს და მხედველობაში მიიღება აკადემიური ხარისხის მინიჭების დროს.
- ნაშრომის დაცვა საჯაროა და გრძელდება 10-15 წუთის განმავლობაში.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომი და თემის ხელმძღვანელი

- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პერიოდი მოიცავს ერთ სემესტრს. ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული თემატიკიდან, სტუდენტი ირჩევს საბაკალავრო თემას, რომელსაც არეგისტრირებს ფაკულტეტზე. თემის შერჩევა ხდება თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
- თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა იყოს არანაკლებ სამი თემის ხელმძღვანელისა.
- საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი პროექტი, რომელშიც უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ხდება ქართულ ენაზე. გამონაკლისია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 30-40 გვერდს. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მინიმუმ 10 ნაშრომი ან სახელმძღვანელო.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები

- საბაკალავრო ნაშრომის ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (Sylfaen), ძირითადი ნაწილის ზომა 12, სათაურები და ქვესათაურები - ზომა 14; სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 ინტერვალი.
- საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნეს:
 - 2.1. თავფურცელი, რომელიც წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის პირველ გვერდს და რომელიც მოიცავს: უნივერსიტეტის სახელწოდებას, სტუდენტის სახელს და გვარს, ნაშრომის სათაურს, ფაკულტეტის სახელწოდებას, თემის ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;
 - 2.2. აბრევიატურების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 2.3. სარჩევი, რომელშიც აისახება ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს ფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს;
 - 2.4. შესავალი, რომელიც წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს და რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და გამოყენებული მეთოდები;

	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	9/10
		ცვლილება	0


- 2.5. ტექსტის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეიძლება დაიყოს თავებად, ქვეთავებად, პარაგრაფებად;
- 2.6. დასკვნა წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელმაც უნდა უპასუხოს ყველა იმ ამოცანას, რომელიც ბაკალავრს გამოაქვს საჯარო დაცვაზე. დასკვნაში სასურველია მოცემული იყოს რეკომენდაციები, ნაშრომში დასმული კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად.
- 2.7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილ უნდა იქნეს ანბანური თანმიმდევრობით; ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე. სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის(ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები; წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი; ამასთან, ცალ-ცალკე უნდა გამოიყოს სამეცნიერო ლიტერატურა და ნორმატიული დოკუმენტები.
- 2.8. დანართები (საჭიროების შემთხვევაში) დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, სქემები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.
3. სტუდენტი ვალდებულია სქოლიოში მიუთითოს ვებგვერდიდან მოპოვებული ინფორმაცია, შესაბამისი ბმულის და ინფორმაციის მოპოვების თარიღის მითითებით.
4. სქოლიოს შრიფტის ზომაა 10.
5. სტუდენტის მიერ ნაშრომში შესაბამისი მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის/მოსაზრებების გამოყენება ჩაითვლება პლაგიატად და სტუდენტს გაუფორმდება შეფასება 0.
6. სტუდენტმა დაცვის წინ ფაკულტეტზე უნდა წარადგინოს ნაშრომის ელექტრონული და ერთი ნაბეჭდი ვერსია.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომი და თემის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო ნაშრომი არის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის მიერ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი სასწავლო კურსების საფუძველზე ჩატარებულ კვლევას. სამაგისტრო ნაშრომი შედგება 40-60 გვერდისგან, რომლის შემუშავების დროსაც გამოყენებულ უნდა იქნეს არანაკლებ 15 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის აუცილებელია არანაკლებ ერთი უცხოური ლიტერატურა. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. გამოწვეულია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოიცავს ერთ სემესტრს.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები წინასწარ განისაზღვრებიან რექტორის ბრძანებით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა იყოს არანაკლებ სამი თემის ხელმძღვანელისა. სტუდენტი თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით არჩევს მისთვის სასურველ თემას და არეგისტრირებს ფაკულტეტზე.
4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად სამაგისტრო თემების ჩამონათვალსა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. სამაგისტრო ნაშრომში უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნისა და მეცნიერული კვლევების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს მცირედი გამოწვევის გარეშე.

	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი	თარიღი	თებერვალი 2018
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	10/10
		ცვლილება	0

2. დასკვნაში სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ხედვა და შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები. სამაგისტრო ნაშრომი საბაკალავრო ნაშრომისაგან განსხვავებით არის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული ნაშრომი.
3. სტუდენტის მიერ ნაშრომში შესაბამისი მითითების გარეშე სხვისი მოსაზრებების გამოყენება ჩათვლება პლაგიატად და სტუდენტს გაუფორმდება შეფასება 0.
4. სტუდენტმა დაცვის წინ ფაკულტეტზე უნდა წარადგინოს სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული და ერთი ნაბეჭდი ვერსია. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ 81 ქულაზე მაღლა შეფასებული ნაშრომი გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ხოლო, საუკეთესო შეფასების მქონე ნაშრომი იბეჭდება უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში.